ბრძანება N 04/121

121-01-4-202108091340

09/08/2021

გადაწყვეტილება

2021 წლის 11 ივნისის N01/887 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1 პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1 მომჩივანის პოზიცია

2021 წლის 11 ივნისს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილ იქნა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ (ს.კ. 404393152) საჩივარი (რეგ. N01/887), შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ (ს.კ. 401950938) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საჩივარში აღნიშნულია, რომ სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებას სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა მომხმარებელთა მიმართ, მათ შორის არის სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები, სადაც სატენდერო პირობების დადგენა ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან. მსგავს შემთხვევას წარმოადგენს სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერი, რომელთანაც, 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება და სადაზღვევო პოლისი. ამ ხელშეკრულების დაზღვევის პირობების მე-2 ნაწილის ((A) სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის პირობები) მე-2 მუხლის მე-6 და მე-13 პუნქტების თანახმად: „იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება შესაბამისი მარკის სერვის-ცენტრში, ხოლო იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომელზეც არ ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებულ შემკეთებელ სერვის-ცენტრ(ებ)ში“. არაუმეტეს 5 წლის

წლოვანების სატრანსპორტო საშუალებების (იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა საგარანტიო პირობები) ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოში არსებული კონკრეტული მარკის ავტორიზირებულ სერვის ცენტრ(ებ)ში, ხოლო დანარჩენი სატრანსპორტო საშუალებებისა - მათი სპეციფიკის მიხედვით, იმ სერვის ცენტრ(ებ)ში, რომელთა ნუსხაც განისაზღვრა ხელშეკრულების დადებისას დამზღვევისა და მზღვეველის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, მომჩივანი მიუთითებს, რომ მზღვეველი ვალდებული ხდება, გარანტიაზე მყოფი სატრანსპორტო საშუალებების შეფასება განახორციელოს შესაბამის ავტორიზირებულ სერვის ცენტრში, რაც, თავის მხრივ, იწვევს იმას, რომ აღნიშნული სერვის ცენტრები გაუმართლებლად მძიმე ფინანსურ ზიანს აყენებენ სადაზღვევო კომპანიებს, მათ მიერ დაწესებული ძვირი სერვისის ფასებით.

აღნიშნული შემთხვევის მაგალითად მომჩივანი ასახელებს 2021 წლის 18 მაისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამზღვევის - მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის ეროვნული სააგენტოს კუთვნილ და სს „სადაზღვევო კომპანია უნისონში“ დაზღვეულ დაზიანებულ ავტოსატრასპორტო საშუალებას MAZDA CX 9-ს სახელმწიფო ნომრით: CC171CB. მომჩივანის პოზიციით, იქედან გამომდინარე, რომ ხსენებული სატრანსპორტო საშუალება იმყოფებოდა „მაზდას“ ცენტრის ანუ შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ გარანტიაზე, ამ ავტომობილის აღდგენის შეფასება განხორციელებულ იქნა ამავე ცენტრის მიერ, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 7535 ლარი. მომჩივანი განმარტავს, რომ ანალოგიურ დაზიანებულ მდგომარეობაში იგივე ავტომობილის შეფასება ასევე განახორციელა შპს „პრემიუმ მოტორს ჯორჯიამ“, რომლის შეფასების ინვოისის თანახმად, ავტომანქანის აღდგენითი სამუშოების ღირებულებამ შეადგინა 975.86 ლარი.

მომჩივანი განმარტავს, რომ მოპასუხის ინვოისში მითითებული სამუშაოების უმეტესობა საერთოდ არ იყო ჩასატარებელი და სავალდებულო, ასევე შესაძლებელი იყო ჩატარებულიყო მთელი რიგი ნაწილების აღდგენითი სამუშაოები და არ იყო აუცილებელი ნაწილების გამოცვლა, რაც, საერთო ჯამში, არ იმოქმედებდა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობაზე და შედეგიც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომჩივანის პოზიციით, მხოლოდ იმის გამო, რომ ავტომანქანა იმყოფებოდა საგარანტიო მომსახურებაზე, მზღვეველს დაახლოებით 500%-ით გაუძვირდა გასაცემი ანაზღაურების ოდენობა. მომჩივანი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ ცენტრები სარგებლობენ მათი დომინანტური მდგომარეობით და იმით, რომ მზღვეველი კომპანია პრაქტიკულად იძულებულია გასცეს ანაზღაურება მათ მიერ შედგენილი შეფასების აქტის საფუძველზე. მომჩივანი მიუთითებს, რომ ამგვარი ცენტრების ფასები მნიშვნელოვნად და გაუმართლებლად აღემატება სხვა ცენტრების მიერ დაწესებულ ფასებს, რაც მათი მხრიდან წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებას.

მომჩივანის განმარტებით, „მაზდას“ სერვის ცენტრს გააჩნია ექსკლუზიური მომსახურების ლიცენზია საქართველოში და მხოლოდ ზემოაღნიშნულ ცენტრში კეთდება საგარანტიო მომსახურებაზე მყოფი მაზდას მარკის ავტომანქანები.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ სამღებრო, სათუნუქე, „სამალიარო“ და სხვა სამუშაოებს არანაირად არ ეხება საგარანტიო პირობები და არ არის სავალდებულო მათი მაზდას ცენტრში შესრულება. ასევე ის მიუთითებს, რომ მისთვის ცნობილი გახდა ფაქტები, რომლის მიხედვითაც, ოფიციალური წარმოამდგენლების დაკვეთით გარკვეული სამუშაოები (მაგ. სამღებრო) საგარანტიო ავტომანქანებს უტარდება სხვა სერვის-ცენტრებში და მიუხედავად ამისა, გარანტიის შეჩერება არ ხდება, ხოლო ანაზღაურების მომენტში უხდებათ ფასნამატის გადახდა.

მომჩივანი განმარტავს, რომ საერთაშორისო სტანდარტით დამკვიდრებული პრაქტიკით, საგარანტიო პირობები მოიცავს მხოლოდ ძარას, გადაცემათა კოლოფს, კარტერს, აგრეგატებს და იმ ნაწილებს, რომლებიც ამუშავებს ავტომანქანას. ხოლო, ნაწილებზე, რომელთაც შეხება არ აქვთ ავტომანქანის ტექნიკურ გამართულობასთან, არ ვრცელდება საგარანტიო პირობები. თავის მხრივ, მისი პოზიციით, მოპასუხე საგარანტიო პირობებს ავრცელებს ყველა სახის მომსახურებაზე და მომხმარებელიც, იმის გამო, რომ სატრანსპორტო საშუალება არ მოიხსნას საგარანტიო მომსახურებიდან, იძულებულია, ავტომანქანას ყველა სახის სამუშაო ჩაუტაროს ავტორიზებულ სერვის ცენტრში. ხსენებული ცენტრები კი, ახდენენ დაზიანებული ავტომობილის იმდაგვარ შეფასებას, რაც მხოლოდ მათთვისაა ხელსაყრელი. კერძოდ, მსუბუქი დაზიანების (მაგ. ნაკაწრის) დროს, შეკეთების ნაცვლად, ახდენენ ნაწილის მთლიანად გამოცვლას, რაც გაუმართლებელ ფინანსურ ზიანს აყენებს სადაზღვევო კომპანიებს.

ამდენად, მომჩივანის შეფასებით, ადგილი აქვს შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რაც გამოიხატება შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენაში.

1.2 მოპასუხის პოზიცია საჩივარში დასმულ საკითხებთან მიმართებით

2021 წლის 14 ივნისს წერილით (რეგ. N02/309) საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსს“.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა, 2021 წლის 25 ივნისს (რეგ: N01/1005) წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხის პოზიციით, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიერ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა იქნეს ცნობილი დასაშვებად, ვინაიდან ის მოკლებულია როგორც სამართლებრივ, ასევე, ფაქტობრივ საფუძვლებს.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ პირველ რიგში, საჩივრის განხილვისას უნდა განისაზღვროს, მოპასუხე ფლობს თუ არა ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობას და შემდეგ, აქვს თუ არა ადგილი მის მიერ აღნიშნული საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. მისი პოზიციით, მაზდას ბრენდის ავტომობილების ავტორიზებული სერვის-

ცენტრის ფლობის ფაქტი არ ხდის მას დომინანტად, რადგან ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს საშუალება, იგივე ბრენდის ავტომობილი შეიძინოს საზღვარგარეთ და ისე შემოიყვანოს საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, მომხმარებელს აქვს ალტერნატივა, ავტომობილს სერვისი გაუწიოს ავტორიზირებულ თუ არაავტორიზირებულ სერვის-ცენტრში.

მოპასუხის პოზიციით, მისთვის გაუგებარია, როგორ ადასტურებს მომჩივანის მიერ წარმოდგენილი შპს „პრემიუმ მოტორს ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი ინვოისი მისი მხრიდან კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტს, ვინაიდან იგი არის სუბიექტური შეფასების საფუძველზე შედგენილი და ვერ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მტკიცებულებად. კომპანიის პოზიციით, მომჩივანის ბრალდება რეალური რომ ყოფილიყო, მას რამდენიმე სხვა ალტერნატიული ცენტრის ინვოისი უნდა წარმოედგინა, რასაც ადგილი არ ჰქონია.

მოპასუხე საუბრობს ავტორიზებული სერვის ცენტრის სტატუსის მოპოვებისა და ფლობის სირთულეებზე, რაც, გულისხმობს მომსახურების მაღალ სტანდარტს, ხარისხის დონეს, მწარმოებლის მოთხოვნებთან შესაბამისობას, მათ შესრულებაზე მუდმივ კონტროლს, თანამედროვე სტანდარტების ტექნიკა-დანადგარების ქონას და კვალიფიციური ხელოსნების ყოლას. კომპანიის განმარტებით, ავტორიზებული სერვისცენტრები მომხმარებლის ნდობას სწორედ იმის გამო იწვევენ, რომ ისინი უშუალო კავშირში არიან ოფიციალურ მწარმოებლებთან და უკეთ იციან ავტომობილის საჭიროებები.

მოპასუხე ასევე საუბრობს სახელმწიფო შესყიდვების სპეციფიკაზე, რომელიც, მისი პოზიციით, შესყიდვებში მრავალწლიანი მონაწილეობის გამო, მომჩივანისთვის სავსებით ნათელი უნდა ყოფილიყო. მას უნდა სცოდნოდა, რომ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, უნდა შეესრულებინა წინასწარ განსაზღვრული სატენდერო პირობები, ანუ გარანტიაზე მყოფი ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში, იგი უნდა შეეკეთებინა ავტორიზებულ სერვის ცენტრში, რომლის ფასების შესახებაც მას ასევე უნდა ჰქონოდა ინფორმაცია.

წარმოდგენილ პოზიციაში შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“ უთითებს, რომ დაზიანებული ავტომანქანისთვის ჩატარებული სამუშაოები აუცილებელი იყო მისი პირვანდელი მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მხოლოდ აღდგენითი სამუშაოებით (კარის გამოცვლის ნაცვლად, მისი შეკეთებით) აღნიშნული მიზანი ვერ იქნებოდა მიღწეული. იგი ასევე საუბრობს ავტომობილის „რთული“ (რამდენიმე კომპონენტიანი) ფერის შესახებ, მწარმოებლის მოთხოვნაზე, რაც გულისხმობს მომიჯნავე დეტალების შეღებვის აუცილებლობას, რათა არ მოხდეს ავტომანქანის აჭრელება და ა.შ.

კომპანია მიუთითებს, რომ ფასების განსაზღვრა ინდივიდუალურია, რაც დაკავშირებულია მომსახურების ხარისხთან და მათი ფასები სტანდარტული მარჟით არის დათვლილი. აღნიშნული ფასები მსგავსია როგორც ფიზიკური, ასევე სხვა იურიდიული პირებისთვისაც, ასევე, გარანტიაზე მყოფი და არმყოფი ავტომობილების შემთხვევაშიც. ფასების განსაზღვრისას სერვის ცენტრები ხელმძღვანელობენ მწარმოებლისგან მიღებული ფასების გათვალისწინებით, ასევე მწარმოებლის იმ მოთხოვნების მხედველობაში მიღებით, რომელიც უკავშირდება მექანიკოსის/ხელოსნის კვალიფიკაციას, მომსახურების მაღალ სტანდარტს და ა.შ.

1.3. მხარეთა მიერ წარმოდგენილი დამატებითი პოზიციები

<u>მომჩივანის დამატებითი პოზიცია</u>

2021 წლის 2 ივლისის N01/1044 წერილით სს „სადაზღვევო კომპანია უნისონმა“ წარმოადგინა დამატებითი პოზიცია, მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციასთან მიმართებით. კომპანიის პოზიციით, მოპასუხე ფაქტიურად ადასტურებს დომინანტური მდგომარეობის ქონას, ვინაიდან არც კი ცდილობს დაამტკიცოს საწინააღმდეგო.

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ მითითების საპირისპიროდ, სადაც საუბარი იყო მომჩივანის მხრიდან მხოლოდ ერთი კომპანიის ინვოისის წარმოდგენაზე, სადაზღვევო კომპანიამ დამატებით წარმოადგინა რამდენიმე სერვის-ცენტრის ინვოისი, რომელთა ფასებიც განსხვავებულია, თუმცა, მისი პოზიციით, ყველა მათგანიდან დასტურდება, რომ კარის გამოცვლის ნაცვლად, შესაძლებელი იყო მისი შეკეთება.

მომჩივანი აპელირებს მოპასუხის მიერ მითითებულ ავტორიზებული ცერვის ცენტრის უპირატესობებზე და აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომაა ავტორიზებული სერვის ცენტრების მომსახურების ხარისხი უფრო მაღალი, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ამ სტატუსის მოპოვება, რას გულისხმობს თანამედროვე სტანდარტების შენობა-ნაგებობების ან ტექნიკა-დანადგარების ფლობა, რატომ არიან მსგავსი ცენტრების ხელოსნები უფრო კვალიფიციურები, რატომ იწვევენ ეს სერვის ცენტრები მომხმარებლის მეტ ნდობას და ა.შ.

მომჩივანის პოზიციით, მას მითითება არ სჭირდება იმაზე, რომ სატენდერო მოთხოვნები უნდა შეასრულოს. იგი სწორედ იმ საკითხზე დავობს, რომ მოპასუხე სარგებლობს მიმწოდებლის სახელშეკრულებო ბოჭვით და გამოუვალი მდგომარეობით. სადაზღვევო კომპანია უთითებს, რომ იგი დღემდე ვერ გარკვეულა (და ამას ვერც მოპასუხე ასაბუთებს), თუ რას მოიცავს საგარანტიო პირობა და რატომ უნდა შეკეთდეს ყველა დაზიანება მოპასუხის სერვისცენტრში, ვრცელდება თუ არა კონკრეტულად მაზდას გარანტია იმ ნაწილებზე, რომელთაც შეხება არ აქვთ სავალ ნაწილთან, რას ნიშნავს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და როგორ შეიძლება დააზიანოს არაავტორიზებულმა სერვის ცენტრში განხორციელებულმა შეკეთებამ ავტომანქანა.

მომჩივანი დამატებით წარმოადგენს შპს „ავტომრჩეველის“ დირექტორის პოზიციას, რომელსაც კომპანიამ ექსპერტული შეფასებისათვის მიმართა. პოზიციაში მითითებულია, რომ სერვისცენტრს უნდა გააჩნდეს ტექნიკური სამუშაოების ჩამონათვალი და თანმიმდევრობა (ტექნოლოგიური რუკა, გაიდლაინი), ან უნდა არსებობდეს მიითითება, რომ ამ სამუშაოებს ერთპიროვნულად განსაზღვრავს ტექნიკური მენეჯერი ან სხვა უფლებამოსილი პირი. პოზიციაში ასევე აღნიშნულია, რომ ვინაიდან დაზიანება არ იყო ძლიერი, მოპასუხეს მომხმარებლისთვის უნდა შეეთავაზებინა დაზიანების აღმოფხვრის სხვა ალტერნატიული საშუალებებიც. დაზიანების ხარისხი შეფასებულია, როგორც მსუბუქი და მითითებულია, რომ მას არ შეეძლო გამოეწვია ავტომობილის სხვა მნიშვნელოვანი ნაწილის დაზიანება და გამხდარიყო გარანტიის გაუქმების მიზეზი. დოკუმენტში ასევე საუბარია მოპასუხის სერვისცენტრში არსებული სპეციალური ტექნოლოგიით ფერის ზუსტად მიღწევის შესაძლებლობასა და იქ მომუშავე

პერსონალის მაღალ კვალიფიკაციაზე, მათ მუდმივ გადამზადებასა და მწარმოებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

<u>მოპასუხის დამატებითი პოზიცია</u>

სააგენტომ 2021 წლის 2 ივლისს №02/338 წერილით მიმართა მოპასუხეს გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით კერძოდ, სააგენტოს მხრიდან გამოთხოვილ იქნა მოპასუხის მიერ მწარმოებელთან დადებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საგარანტიო პირობებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ასე მოპოვებულ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულებები და საგარანტიო პირობები საქართველოში რეალიზებულ, საჩივარში დასახელებული იდენტურ და მსგავს პროდუქციასთან დაკავშირებით.

მოპასუხის მიერ ასევე, წარმოდგენილ იქნა საჩივარში დასახელებული სატრანსპორტო საშუალებისათვის გაწეული მომსახურების, იდენტური/მსგავსი მომსახურების გაწევის ხარჯთახრიცხვები და საფასო ცხრილები (კომპანიის მ/წ. 22 ივლისის N01/1167 წერილი).

დამატებით პოზიციაში მოპასუხე განმარტავს, რომ სააგენტო არ არის უფლებამოსილი ორგანო, რომელმაც უნდა იმსჯელოს კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ გამოხატული ნების ნამდვილობაზე, ან იმაზე, შესრულებული სამუშაოს მოცულობა შერჩეული იყო თუ არა სწორად, არსებობდა თუ არა ამგვარი მომსახურების გაწევის აუცილებლობა, შეიძლებოდა თუ არა სხვა გზით ანალოგიური შედეგის მიღწევა და ა.შ. კომპანიის პოზიციით, ეს გარემოებები წარმოადგენს მხარეთა შორის სასამართლო დავის საგანს, რა დროსაც შესაბამისი ცოდნის მქონე ექსპერტების მიერ უნდა შეფასდეს ვადლებულების შესრულების/დარღვევის ფაქტები და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ.

მოპასუხის განმარტებით, ავტომობილებზე, რომლის შეძენა ხდება მაზდის ცენტრში, ვრცელდება როგორც მწარმოებლის, ისე ავტორიზირებული სერვის-ცენტრის საგარანტიო პირობები, რომელიც ასევე მოიცავს გარკვეულ დათქმებს საგარანტიო პირობებით სარგებლობისათვის. ეს პირობები ფორმდება თითოეულ ავტომობილთან მიმართებით ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად.

მოპასუხე განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაფასებელ გარემოებას წარმოადგენს, იყო თუ არა სახეზე საჩივრის ავტორის „იძულება“ მიეღო მომსახურება აუცილებლად მაზდას ცენტრში, ვინაიდან აღნიშნული არ არის მწარმოებლის ან მისი ოფიციალური წარმომადგენლის - მაზდას ცენტრის მიერ დადგენილი პირობა. მომჩივანს ეს ვალდებულება ეკისრება არა მაზდას ცენტრთან გაფორმებული ხელსეკრულებით, არამედ სატენდერო პირობებით, რასაც ის თავად არ უარყოფს.

მაზდას ცენტრი, თავის მხრივ, ავტომობილის გაყიდვის შემთხვევაში ადგენს საგარანტიო პირობებს, რომელსაც ამ მარკის ყველა ავტომობილისათვის იდენტური შინაარსისაა - როგორც ამ კონკრეტული ავტომობილის (რომლის ინდივიდუალური მონაცემები დგინდება ვინ კოდით) ნასყიდობის, ისე ნებისმიერ სხვა სუბიექტთან (ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფო ორგანოები) გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში.

საგარანტიო პირობებთან დაკავშირებით მოპასუხე განმარტავს, რომ დადგენილია გამონაკლისები, რომელზეც არ ვრცელდება გარანტია და ხელშეკრულებაში არ არის პირობა ავტომობილის სხვა არაავტორიზებულ სერვის-ცენტრში შეკეთების აკრძალვის შესახებ. კერძოდ, მითითებულია, რომ გარანტია არ ვრცელდება იმ ზარალზე, რომელიც მიყენებულია ისეთი რემონტითა და მომსახურებით, რომელიც არ ჩაუტარებია ოფიციალურ დილერს, აგრეთვე იმ ზარალის დროს, რომელიც გამოწვეულია ისეთი დეტალების დამონტაჟებით, რომელიც არ არის ნებადართული კორპორაცია MAZDA-ს მიერ, ან ავტომობილში ისეთი დეტალების გამოყენების გამო მათი მოსაზღვრე ელემენტების დაზიანების დროს. ამავე პირობებში მოცემულია ვალდებულებები რეგლამენტით გათვალისწინებული პერიოდული შემოწმების თაობაზე, ხოლო, ამ ნაწილში ნამდვილად არის მითითება უშუალოდ მაზდას ცენტრის ან მის მიერ ავტორიზებული სერვის ცენტრისთვის მიმართვასთან დაკავშირებით. ასევე, გათვალისწინებულია პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პირობა, იმ შემთხვევაში, თუ მოხდა სარეგლამენტო სამუშაოების გამოტოვება. ასევე, მითითებულია, რომ გარანტია ბათილდება, თუ შემსყიდველი ავტომობილზე განახორციელებს მნიშვნელოვან ცვლილებას ან ავტომობილს გამოიყენებს მისი შესაძლებლობების მიღმა.

მოპასუხის პოზიციით, შესაბამის ბაზარს წარმოადგენს მთელი საქართველოს მასშტაბით ახალი ავტომობილების ვაჭრობის ბაზარი და მისი წილი არის უმნიშვნელო. ამასთან, საქართველოს ბაზარზე ოპერირებს არაერთი დილერი, რომელიც ვაჭრობს როგორც ახალი, ისე მეორადი ავტომობილებით და სერვისის მიღება ნებისმიერი ბრენდის ავტომობილის შესაკეთებლად შესაძლებელია ამ მიმართულებით მოქმედ უამრავ ობიექტზე. ასევე, არავითარი შემზღუდველი რეგულაცია ამ საქმიანობასთან დაკავშირებით ქვეყანაში არ მოქმედებს. ამგვარი შეზღუდვები დადგენილი არ არის არც მწარმოებლის ან მისი ავტორიზებული წარმომადგენლის - მაზდას ცენტრის მიერ.

მოპასუხე დამატებით პოზიციაშიც განმარტავს, რომ კომპანიის მიერ დადგენილი საგარანტიო პირობების შინაარსი არ შეიცავს კონკურენციის შემზღუდველ დათქმებს, არ აუქმებს სხვა ოპერატორებთან სერვისის მიღების შესაძლებლობას და მხოლოდ ის ფაქტი, რომ ის იხსნის პასუხისმგებლობას მესამე პირის მიერ ავტომობილის შეკეთების შედეგად გამოწვეულ ზიანზე, არ შეიძლება განხილულ იყოს კონკურენციის შეზრუდვის ან ბაზარზე საქონლის მიწოდების პირობებზე გავლენის მოხდენად. ამასთან მოპასუხე აღნიშნავს, რომ თავად მომხმარებლის გადასაწყვეტია მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მაზდას ბრენდის ავტომობილს ტექნიკურ მომსახურებს გაუწევს ავტორიზირებულ თუ არააავტორიზირებულ სერვის ცენტრში. ამ შემთხვევაში ერთადერთი გასათვალისწინებელი გარემოება ის არის, რომ თუ მომხმარებელი გარანტიაზე მყოფ სატრანსპორტო საშუალებას შეაკეთებს არაავტორიზებულ სერვის ცენტრში, მწარმოებელი და ავტორიზირებული სერვის ცენტრი იხსნიან პასუხისმგებლობას იმ ზიანზე, რაც შეიძლება დადგეს ამგვარი შეკეთების შედეგად და არ გაავრცელებენ გარანტიის მოქმედებას ამგვარი მომსახურების შედეგებზე. ამასთან, მოპასუხის პოზიციით, ავტომობილზე გაწეული მომსახურებების რაოდენობის და ჩატარებული სამუშაოს მიზანშეწონილობის შეფასება მოითხოვს სპეციალურ ტექნიკურ ცოდნას, რომელიც სააგენტოს არ გააჩნია და სასამართლოს კომპეტენციაში შედის.

მოპასუხის პოზიციით, აღნიშნული შეთანხმებები სრულ შესაბამისობაშია სამოქალაქო სამართლით გათვალსწინებულ ძირითად პრინციპებთან და მხარეებს აქვთ მოქმედების თავისუფლება კონტრაჰენტის შერჩევის პროცესში. ამ შემთხვევაში სახეზე არ არის კონტრაჰენტის იძულება, არამედ, საქმე გვაქვს სახელშეკრულებო პირობებთან, რომლის მიხედვითაც, ერთი მხარე იხსნის პასუხისმგებლობას მეორე მხარის მიერ მოწვეული, მასთან შეუთანხმებლად შერჩეული მესამე პირის ქმედებაზე და ამ ქმედების შედეგად დამდგარ ზიანზე.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტი განმარტავს „დომინანტურ მდგომარეობას“. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტიასა.

მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

2.2. პროცედურული ნაწილი

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადების“ მე-7 მუხლის თანახმად, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში (შესაძლებელია ამ ვადის 15 დღით გაგრძელება). აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში, ხოლო უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მოცემულობა

საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. შესაბამისად, იმისათვის, რომ სააგენტომ კონკრეტული საჩივრის საფუძველზე დაიწყოს საქმის მოკვლევა, აუცილებელია არსებობდეს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი ნორმის დარღვევასთან დაკავშირებით.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჩივრის შემომტანი პირი - მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც.

გარდა ამისა, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია, შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. საბოლოოდ, ფასდება მომჩივანის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე,

მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება.[1] ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული.[2] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.[3] ამასთან მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით დასაშვებობის ეტაპზე კომისიის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა ის ფაქტები და სამართლის ის ნორმები, რომლებზეც აპელირებენ მომჩივანი მხარეები.[4]

TFEU 81-ე და 82-ე მუხლების (დღეს მოქმედი შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლები) შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ ევროკომისიის ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმის[5] მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით შეუძლია მისი უარყოფა.“

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ მსგავს შემთხვევებშიც კი საქმის მოკვლევის დაწყებასთან დაკავშირებით კომისია სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით.

შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო პირველ რიგში ამოწმებს, მოკვლევის დასაწყებად საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები აკმაყოფილებენ თუ არა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა კი გულისხმობს, რომ საჩივარში მითითებული ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის რომელიმე ნორმას ან ნორმათა ერთობლიობას.

სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, იმ მატერიალური ნორმის არსებობას, რომელიც შესაძლოა ირღვეოდეს საჩივარში მითითებული ქმედების შედეგად და რომელიც მომჩივანს აქვს სადავოდ გამხდარი

---

[1] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), §11.
[2] იქვ. § 12.
[3] ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77. იხ. https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61990TJ0024&from=EN
[4] ECJ Case C-119/97, 04.03.1999, § 86. იხ. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-119/97
[5] ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა

საჩივრის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, საჩივარი წარმოდგენილია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. შესაბამისად, სააგენტო, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, მსჯელობს სწორედ ამ მუხლის ამ კონკრეტული შემადგენლობის დარღვევის გონივრულ ეჭვზე.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა.

იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონის მე-6 მუხლი მიჩნეულ იქნეს მოკვლევის დაწყების შესაბამის საკანონმდებლო საფუძვლად, აუცილებელია, დასაშვებობის ეტაპზე არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა აღნიშნული ნორმის დისპოზიციაში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ვინაიდან ხსენებული ნორმის დამრღვევი ვერ იქნება პირი, რომელიც არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას. შესაბამისად, **გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ერთ-ერთი წინაპირობის არ არსებობის შემთხვევაში კი ბუნებრივია სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა.**

ამდენად, იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა მინიმუმ ორი ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა: ა) ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე და ბ) აღნიშნული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

3.2. სააგენტოს პოზიცია საჩივარში დასმულ სადავო საკითხებთან მიმართებით

სააგენტო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ კონკრეტული სუბიექტის დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად მიჩნევისათვის, აუცილებელია შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა. თავის მხრივ, სააგენტო მის მიერ განსახილველი თითოეული საქმის ფარგლებში, ჯერ ახდენს სადავო ქმედების ზუსტ იდენტიფიცირებას და შემდგომ ხდება იმის ანალიზი, თუ კონკრეტულად რა სახის ბაზარზე არის ეს ქმედებები განხორციელებული, ვინაიდან სხვადასხვა შინაარსის სადავო ქმედებასთან მიმართებაში, შესაძლოა შესაბამისი ბაზარი სხვადასხვაგვარად განისაზღვროს. ამდენად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სადავო ქმედების შინაარსისა და დავის საგნის იდენტიფიცირება.

ამგვარად, სააგენტომ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის იმ ქმედებებზე, რომელიც მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მიერ

არის მიჩნეული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების იმ კონკრეტულ შემადგენლობად, რომელიც გულისხმობს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენას.

ა) სს „სადაზღვევო კომპანია უნისონსა“ და მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის ეროვნული სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულება

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მასსა და სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის ეროვნულ სააგენტოს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ „იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება შესაბამისი მარკის სერვის-ცენტრში, ხოლო იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომელზეც არ ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებულ შემკეთებელ სერვის-ცენტრ(ებ)ში“. შესაბამისად, კომპანია იძულებულია, ყველა სახის მომსახურების მისაღებად მიმართოს ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

სააგენტო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების დროს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სატენდერო მოთხოვნებს განსაზღვრავს თავად შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც და სათანადო წინადადების წარდგენის შემდეგ ვლინდება გამარჯვებული მონაწილე და შესყიდვის გამოცხადების დროს უკვე წინასწარ ცნობილი პირობებით, ხდება ხელშეკრულების დადება შესაბამის სუბიექტთან. აღნიშნული სამართალურთიერთობის ფარგლებში, ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაცია და გამარჯვებული პრეტენდენტი.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივარი წარმოდგენილია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის - შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ მიმართ. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კანონის მე-6 მუხლის სპეციალურ სუბიექტს წარმოადგენს ეკონომიკური აგენტი და არა საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო. **ამდენად, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, ამ კონკრეტული საჩივრის ფარგლებში, იმსჯელოს შემსყიდველი ორგანიზაციის, კერძოდ, სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი სატენდერო პირობების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე და განიხილავს მომჩივანის მიერ დასმულ იმ საკითხებს, რომელიც შესაძლოა მოპასუხეს შეერაცხოს კონკურენციის კანონის კონკრეტული ნორმის დარღვევად.**

ბ) MAZDA CX 9 -ის აღდგენითი სამუშაოების მოცულობა და ღირებულება

მომჩივანი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ 2021 წლის 18 მაისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, დამზღვევის - მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის ეროვნული სააგენტოს კუთვნილ და სს „სადაზღვევო კომპანია უნისონში“ დაზღვეულ დაზიანებულ ავტოსატრასპორტო საშუალებას MAZDA CX 9 -ს, სახელმწიფო ნომრით : CC171CB

ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები, რომლის ფასიც არ შეესაბამებოდა საბაზრო ღირებულებას.

მომჩივანის პოზიციით, იქედან გამომდინარე, რომ ხსენებული სატრანსპორტო საშუალება იმყოფებოდა „მაზდას“ ცენტრის ანუ შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ გარანტიაზე, ამ ავტომობილის აღდგენის შეფასება განხორციელებულ იქნა ამავე ცენტრის მიერ. ამ შემთხვევაში სამუშაოების ღირებულებამაც შეადგინა 7535 ლარი.

მომჩივანი განმარტავს, რომ ანალოგიურ დაზიანებულ მდგომარეობაში იგივე ავტომობილის შეფასება ასევე განახორციელა შპს „პრემიუმ მოტორს ჯორჯიამ“, რომლის შეფასების ინვოისის თანახმად, ავტომანქანის აღდგენითი სამუშოების ღირებულებამ შეადგინა 975.86 ლარი. მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხის მხრიდან დამატებით ჩატარდა იმგვარი სამუშაოები, რომელიც ავტომობილს არ ესაჭიროებოდა. მომჩივანის მხრიდან, დამატებით პოზიციასთან ერთად ასევე წარმოდგენილ იქნა სხვა სერვის ცენტრების მიერ გაცემული ინვოისები, სადაც ასევე განსხვავებული ფასებია მოცემული.

ზემოხსენებულ სადავო ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სააგენტოს კომპეტენციის ფარგლები და სააგენტოს უფლებამოსილება, შეაფასოს ესა თუ ის ქმედება კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან მიმართებით. კერძოდ, კანონის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს არასამართლიანი ფასების და სავაჭრო პირობების დადგენას და არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, რომელიც გულისხმობს ავტომობილისთვის გასაწევი მომსახურებების რაოდენობის, შესაკეთებელი ნაწილების ხარისხის და მათი გამოცვლის მიზანშეწონილობის შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ **სააგენტო ვერ შეისწავლის, რამდენად სწორად მოხდა ავტომობილის ცალკეული ნაწილის შეცვლა, იყო თუ არა საჭირო ამა თუ იმ ტექნიკური მომსახურების გაწევა, კარის შეცვლის გარეშე, შეკეთების გზით მიიღწეოდა თუ არა შესაბამისი შედეგი და ა.შ. - რადგან აღნიშნული წარმოადგენს სამოქალაქო - სამართლებრივი დავის საგანს. აღნიშნული გარემოებების შესწავლა და შეფასება უნდა განხორციელდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობით.**

მომჩივანი ასევე სადავოდ ხდის გარანტიაზე მყოფ ავტომობილებზე გასაწევი მომსახურებების ფასებს და მისი პოზიციით, ადგილი აქვს მის მიმართ არასამართლიანი სავაჭრო პირობების და ფასების დადგენას. საკითხის დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მიერ მოპასუხისგან გამოთხოვილ იქნა საჩივარში მოყვანილი შემთხვევის მსგავსი მომსახურებების გაწევის ხარჯთაბრიცხვები და საფასო ცხრილები.

როგორც სააგენტოს ხელთარსებული საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, **მოპასუხეს აქვს ერთგვაროვანი საფასო პოლიტიკა, როგორც გარანტიაზე მყოფ, ასევე, სხვა ავტომობილების შეკეთების მომსახურებებთან მიმართებაში. ასევე, ინდივიდუალური სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთგვაროვანია ფიზიკური, იურიდიული პირებისა და სახელმწიფო უწყებებისთვის გასაწევი მომსახურებების ფასები.**

ამ ნაწილში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ასევე იმის განსაზღვრა, ვინ არის ამა თუ იმ ქმედების განმახორციელებელი სუბიექტი და ვისი ქმედების შედეგად იქმნება შესაბამისი ბაზარი. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც ერთგვაროვანია ყველა

სუბიექტისთვის გასაწევი მომსახურების ფასები, მნიშვნელოვანია მოხდეს იმის ანალიზი, გარანტიაზე მყოფი ავტომობილების მიმართ გასაწევი მომსახურების ბაზრის ცალკე პროდუქციულ ბაზრად განსაზღვრა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოადგენს სუბიექტურ თუ ობიექტურ მოცემულობას.

კერძოდ, სადავო შემთხვევაში, ავტოსატრასპორტო საშუალება MAZDA CX 9-ის მიმართ (სახელმწიფო ნომრით: CC171CB) გასაწევი ყველა სახის მომსახურების ავტორიზებულ სერვის ცენტრში მიღების სავალდებულო ხასიათი გამომდინარეობდა კონკრეტული ტენდერის ფარგლებში, მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული სატენდერო პირობებიდან. კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ დადგენილი მოთხოვნიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, მოხდა ავტომობილის გადამისამართება კონკრეტულად მაზდას ცენტრში და შემსყიდველი ორგანიზაციის ამ მოთხოვნის შედეგად შეიქმნა ე.წ. სუბიექტური სავარაუდო შესაბამისი ბაზარი - მაზდას ცენტრის მიერ მისაწოდებელი მომსახურებების სახით. თავის მხრივ, შესაბამისი ბაზარი არის არა სუბიექტური, არამედ, ობიექტური მოცემულობა. თუ ვიწრო სუბიექტურ მოცემულობაში მოხდება ბაზრის განსაზღვრა, მაშინ მაზდას ცენტრი იქნება დომინანტი ეკონომიკური აგენტი ნებისმიერი მომსახურების მიწოდებაში, თუნდაც კარის შეღებვაში - რადგან აღნიშნულ ავტომობილზე, სატენდერო პირობებიდან გამომდინარე, სხვა ვერ შეძლებს შესაბამისი მომსახურების შეთავაზებას - რაც არ არის შესაბამისობაში ბაზრის განსაზღვრის ობიექტურ პრინციპებთან.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მომჩივანი დავაზე უფლებამოსილ სათანადო მხარეს წარმოადგენს კონკრეტულად მისი, როგორც სადაზღვევო კომპანიის მიმართ განხორციელებული ქმედების ნაწილში. კერძოდ, სადავოა კონკრეტული ტენდერის ფარგლებში, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შემუშვებული სატენდერო პირობებიდან გამომდინარე, ავტომობილის შეფასება და მის შესაკეთებელად ყველა სახის მომსახურების მაღალ ფასად მიღება მხოლოდ მაზდას ცენტრში. თავის მხრივ, ეს პირობა კი არ არის მოპასუხის მიერ შემუშავებული. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სააგენტო არ ახდენს ბაზრის ზუსტ იდენტიფიცირებას საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე და კონკრეტულად სადავო ავტომობილზე გასაწევი მომსახურებების ნაწილში არც არის რელევანტული ბაზრის განსაზღვრა, რადგან ფაქტობრივი მოცემულობა შექმნილია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

გ) საგარანტიო პირობები და ექსკლუზიური მომსახურების ლიცენზია

მომჩივანი ასევე სადავოდ ხდის ზოგადად მაზდას ცენტრის საგარანტიო პოლიტიკას, კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ „მაზდას“ სერვის ცენტრს გააჩნია ექსკლუზიური მომსახურების ლიცენზია საქართველოში - მხოლოდ ზემოაღნიშნულ ცენტრში კეთდება საგარანტიო მომსახურებაზე მყოფი მაზდას მარკის ავტომანქანები. რაც შეეხება თავად საგარანტიო პირობებს, მომჩივანის პოზიციით, არ არსებობს საგარანტიო პირობების მკაფიო ინტერპრეტაცია და იმის შიშით, რომ სატრანსპორტო საშუალება არ მოიხსნას საგარანტიო პირობებიდან, მომხმარებელი იძულებულია, ყველანაირ სამუშოებზე მიმართოს ავტორიზირებულ სერვის ცენტრს.

აღნიშნული პოზიციის საპასუხოდ მოპასუხე განმარტავს, რომ ავტომობილებზე, რომლის შეძენა ხდება მაზდის ცენტრში, ვრცელდება როგორც მწარმოებლის, ისე ავტორიზირებული სერვის-ცენტრის საგარანტიო პირობები, რომელიც ასევე მოიცავს გარკვეულ დათქმებს საგარანტიო პირობებით სარგებლობისათვის. ეს პირობები ფორმდება თითოეულ ავტომობილთან მიმართებით ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად და დადგენილია გამონაკლისები, თუ რა შემთხვევებზე არ ვრცელდება საგარანტიო მომსახურება.

სააგენტოს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ მიერ მომხმარებლებისათვის შეთავაზებული საგარანტიო პირობები, ასევე, მწარმოებელთან დადებული ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები საგარანტიო მომსახურების ნაწილში, რათა შეფასებულიყო, არის თუ არა კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის, კერძოდ, არასამართლიანი სავაჭრო პირობების დადგენის გონივრული ეჭვი.

როგორც სააგენტოს ხელთარსებული მასალებიდან დგინდება, არც შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ მიერ შემუშავებულ საგარანტიო ვალდებულებებში და არც მწარმოებლის გარანტიის შესახებ მემორანდუმში არ არის პირდაპირი აკრძალვა, ავტომობილების არაავტორიზებულ სერვის ცენტრებში შეკეთებასთან დაკავშირებით. იმ საგარანტიო პირობებით, რომელსაც მოპასუხე სთავაზობს მომხმარებელს, განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც არ მოქმედებს გარანტია და შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება კომპანიის პასუხისმგებლობები. კერძოდ, გარანტია არ მოქმედებს თუ ზარალი სატრასპორტო საშუალებას მიადგა ისეთი რემონტითა და მომსახურებით, რომლებიც არ ჩაუტარებია ოფიციალურ დილერს, აგრეთვე იმ ზარალის დროს, რომელიც გამოწვეულია ისეთი დეტალების მონტაჟით, რომელიც ნებადართული არ არის კორპორაცია MAZDA-ს მიერ. ამასთან, როგორც სააგენტოს ხელთარსებული დოკუმენტაციით დგინდება, საგარანტიო პირობები ერთგვაროვანია ყველა სუბიექტისთვის.

ამდენად, სააგენტოს ხელთარსებული ინფორმაციით, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, არ იკვეთება, როგორც მწარმოებლის, ასევე, მოპასუხის მიერ გაცემული საგარანტიო პირობების არასამართლიანი ხასიათი და სწორედ ამ პირობების ზოგად არასამართლიან ხასიათზე აპელირებს მომჩივანი. ამასთან, გასათვალისწინებელია, პრაქტიკულად, მართლაც მოხდა თუ არა საგარანტიო მომსახურებაზე მყოფი ავტომობილის გარანტიიდან მოხსნა არაავტორიზებულ სერვის ცენტრში წაყვანის გამო, სააგენტო ვერ შეაფასებს ამ კონკრეტული საჩივრის დასაშვებობის ფარგლებში, რადგან ვერ გაცდება საჩივარში დასმულ დავის საგანს და მომჩივანი კომპანიის მიერ დასახელებულ სავარაუდო დარღვევის სახეს.

ამასთან, კონკრეტულად მომჩივანი კომპანიისთვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღინიშნოს ის გარემოება, რომ **სადავო შემთხვევაში, კონკრეტულ ავტომობილზე გასაწევი ყველა სახის მომსახურების მაზდას ავტორიზებულ სერვის ცენტრში მიღების სავალდებულო ხასიათი გამომდინარეობდა სატენდერო პირობიდან. ამდენად, ამ ნაწილში, არ არსებობს მოპასუხე კომპანიის ქმედება,**

რომ კონკრეტულად მან აკრძალა არაავტორიზებულ სერვის ცენტრში ავტომობილისთვის კონკრეტული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა.

ამდენად, საჩივარში მითითებული დავის საგნის და სავარაუდო შესაფარდებელი ნორმის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ კონკრეტული საჩივრის დასაშვებობის ფარგლებში, დამატებით აღარ არის მიზანშეწონილი შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ დომინანტური მდგომარეობის დასადგენად შესაბამისი ბაზრის ზუსტი განსაზღვრა - რომელიც, თავის მხრივ, სხვა დავის ფარგლებში, შესაძლოა იყოს განსხვავებული.

შესაბამისად, **ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, ვინაიდან სახეზე არ არის კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის გონივრული ეჭვი.**

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარგდენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის 1-ლი - მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ (ს.კ. 404393152) 2021 წლის 11 ივნისის №01/887 საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე